ხელშეკრულება №02/351

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

2 სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. # 42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზიან: 220101222
ანგარიშის #: 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს "42 გრადუსი"
წარმოდგენილი დირექტორის სოფიო ჯაფარიძის სახით, (ტელ; 599969511)
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. #11/23
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 533 601
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი"ბანკის ვერის ფილიალი
ა/ა:10736020100003
(შემდგომში "მიმწოდებელი")

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ.გვერდისათვის დანართ#1-ში აღნიშნული ფუნქციების დამატება.

1.2 CPV კოდი: 72400000 - ინტერნეტ მომსახურებები.

2. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 "ხელშეკრულება სახემწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-"ხელშეკრულება")- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, გაუწია მომსახურება მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი, რათა დარწმუნდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით მიქაძე.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევის დაწყება საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურება.

4.3 მომსახურების გაწეულ უნდა იქნეს **დანართ #1 -ში** აღნიშნული ვადებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღებას აწარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით მიქაძე.

5.2 მომსახურების მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (გამარტივებული ანგარიშფ–აქტურის გამოწერით.)

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

6.2 დაფინსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **900,00 ლარს (ცხრაასი ლარი და 00 თეთრი).**

7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სახე და აღწერილობა მოცემულია **დანართი #1-ში,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

7.4 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16. **გადასახადები და დაბეგვრა**

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „42 გრადუსი“
გიორგი არსოშვილი	სოფიო ჯაფარიძე

დანართი #1

შესასრულებელი სამუშაოს ნუსხა

N	CPV	მომსახურების (ფუნქციის) დასახელება	მომსახურების გაწევის ვადები
1	72413000	სიახლეზე ვიდეო რგოლის მიბმის ფუნქცია	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
2	72413000	სიახლეების ბლოკიდან ვიდეო რგოლების ვიდეო გალერეაში ავტომატურად გადატანის ფუნქცია	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
3	72413000	მთავარ გვერდზე სიახლის სურათებზე დაწკაპუნებით სურათების გადიდების ფუნქცია (სიახლეში შესვლის გარეშე)	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
4	72413000	პირველ გვერდზე ფოტოგალერეის ბანერში ფოტოგალერეის მოდულიდან განსაზღვრული რაოდენობის ფოტოების ტრიალი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
5	72413000	მთავარ გვერდზე სიახლეებში ტექსტების მოჭრა წინადადების დასრულების შემდეგ	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
6	72413000	FAQ-ის კატეგორიზირება	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
7	72413000	რუკის მთელს ეკრანზე გამოტანის ფუნქცია	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში
8	72413000	ძველი საიტის მბ-დან სიახლეების გადმოტანა ახალი საიტის სიახლეების მბ-ში	ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსენიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „42 გრადუსი“

სოფიო ჯაფარიძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 2/09/11

მიმწოდებელი: შპს "42 გრადუსი"

ხელშეკრულების № 02/351

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი _____

ამირან ჯეგისაშვილი _____

ლევან მაღლაკელიძე _____

ეკა ალიმბარაშვილი _____

დავით მიქაძე _____